

სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია

პროგრამის კომპონენტის პროგრამა (სილაბუსი) - პროგრამის კომპონენტის პროგრამა (სილაბუსი) აწესრიგებს პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელსა და სტუდენტების, მაგისტრანტების, პროფესიული სტუდენტების (შემდგომში - სტუდენტები) ურთიერთობას და წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც იძლევა ინფორმაციას პროგრამის კომპონენტის შესახებ. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული: პროგრამის კომპონენტის დასახელება; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური; სწავლების ენა; სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი); სილაბუსის ავტორი და საკონტაქტო ინფორმაცია; კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით; დავების წინაპირობები; მიზნები; დაგეგმილი სწავლის შედეგები; შინაარსი; სწავლების/სწავლის მეთოდები; სტუდენტის შეფასების სისტემა; სასწავლო კურსის შემთხვევაში - სავალდებულო (ძირითადი) და დამხმარე (დამატებითი) ლიტერატურა და სხვა რესურსები (არსებობის შემთხვევაში). გარდა მითითებულისა, სილაბუსი შეიძლება შეიცავდეს პროგრამის კომპონენტთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც.

- **პროგრამის კომპონენტის დასახელება** - მიუთითეთ სრულად დასახელება.
- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და უმაღლესი განათლების საფეხური** - სილაბუსით უნდა დგინდებოდეს რომელ საგანმანათლებლო პროგრამას მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტი (უნდა იყოს მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის სრული დასახელება) და განათლების საფეხური (საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად).
- **სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი** - მიუთითეთ სახელი და გვარი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი) და საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონი, E-mail). რამდენიმე ავტორის/განმახორციელებლის შემთხვევაში მისათითებელია თითოეულის გვარი, სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია.
- **კონსულტაციები** - მიუთითეთ კონსულტაციების ჩატარების პერიოდულობა. გაითვალისწინეთ, რომ სემესტრის განმავლობაში კონსულტაციები უნდა ჩატარდეს კონსულტაციების ცხრილის მიხედვით, კვირაში min 1 სთ., საჭიროებისამებრ ასევე - ელ-ფოსტის მეშვეობით. გაითვალისწინეთ: კონსულტაციები ტარდება სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით და არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს.
- **პროგრამის კომპონენტის სტატუსი** - მიუთითეთ პროგრამის კომპონენტის სტატუსი: სპეციალობის/არასპეციალობის და სავალდებულო/არჩევითი.
- **სწავლების ენა** - თუ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტები შეთავაზებულია უცხოურ ენაზე და საგანმანათლებლო პროგრამაზე დავების ერთ-ერთ-წინაპირობად არ არის მითითებული კონკრეტულ დონეზე ამ უცხო ენის ფლობა, მაშინ პროგრამის კომპონენტი წინაპირობებში უნდა მიუთითოთ ეს უცხოური ენა და მისი ფლობის დონე.
- **კრედიტები** - მიუთითეთ პროგრამის კომპონენტის მოცულობა კრედიტებში და შესაბამისი საათების რაოდენობა, მიუთითეთ პროგრამის კომპონენტის კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის განსაზღვრული საათების ოდენობა. გაითვალისწინეთ, რომ: ბნსუ-ში 1 კრედიტი = 26 საათს; საკონტაქტო საათები ნაწილდება პროგრამის კომპონენტის სწავლების ფორმატით გათვალისწინებულ ყველა აქტივობებზე და წარმოადგენს სასწავლო გარემოში გატარებულ საათებს, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები წარმოადგენს სტუდენტის ინდივიდუალურ, დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ საათებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობას და მათ თანაფარდობას განაპირობებს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სპეციფიკა და შესასწავლი მასალის/შესასრულებელი საბუზო მოცულობა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის (კრედიტებში) სასწავლო კურსი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.
- **პროგრამის კომპონენტის შესწავლის წინაპირობები** - მიუთითეთ ზუსტი დასახელება/დასახელებები პროგრამის იმ კომპონენტ(ებ)ისა, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესწავლილი სტუდენტს, რათა მან შეძლოს თქვენს მიერ შეთავაზებული პროგრამის კომპონენტის შესწავლა და დაგეგმილი შედეგების მიღწევა. გაითვალისწინეთ, რომ წინაპირობაში უნდა იყოს მითითებული არა ზოგადად რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, არამედ პროგრამის კონკრეტული კომპონენტ(ებ)ის დასახელება/დასახელებები. შესაძლებელია მიეთითოს მაგ., „პროგრამის სასწავლო გეგმით I-III სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი და/ან პროგრამის კომპონენტი“. გაითვალისწინეთ, რომ პირველი სემესტრის პროგრამის კომპონენტებს არ აქვთ შესწავლის წინაპირობა (მიუთითეთ "წინაპირობის გარეშე", „არ აქვს“). პროგრამის კომპონენტის შესწავლის წინაპირობად პროგრამის რომელიმე კომპონენტის მითითებისას შეამოწმეთ: არის თუ არა პროგრამის ეს კომპონენტი გათვალისწინებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით და რომელ სემესტრში ისწავლება, როგორია მისი ზუსტი დასახელება და სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი). გაითვალისწინეთ, რომ წინაპირობის სახით მითითებული პროგრამის კომპონენტ(ებ)ი არ უნდა ისწავლებოდეს იმავე ან მომდევნო სემესტრებში და წინაპირობის სახით მითითებული პროგრამის კომპონენტი უნდა იყოს სავალდებულო და არა არჩევითი.
- **პროგრამის კომპონენტის მიზანი** - მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ პროგრამის კომპონენტის ძირითადი მიზნები. მიზნებიდან უნდა ჩანდეს, თუ რა კონკრეტული შედეგების (სტუდენტის კომპეტენციების) მიღწევას მიზნად ისახავს პროგრამის კომპონენტი. მიზნების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის, შინაარსის, დაგეგმილი სწავლის შედეგებისა და მითითებული მიზნების ურთიერთშესაბამისობა.
- **სწავლის შედეგები** - სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციებით და შესაბამებოდეს განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღწერს. მიუთითეთ მხოლოდ ის კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც მიიღწევა პროგრამის კომპონენტის შესწავლით. შეამოწმეთ, რამდენად ურთიერთშესაბამისია თქვენს მიერ მითითებული პროგრამის კომპონენტის მიზნები, შინაარსი და დაგეგმილი სწავლის შედეგები.
- **სწავლების მეთოდები** - მიუთითეთ ის სწავლების მეთოდები, რომლებიც თქვენ მიერ იქნება გამოყენებული სწავლების პროცესში. გათვალისწინებით, რომ მეთოდების შერჩევა განპირობებულია პროგრამის კომპონენტის სპეციფიკით და უნდა უზრუნველყოფდეს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას (მეთოდების ჩამონათვალი და განმარტება განთავსებულია ბნსუ-ს ვებგვერდზე).
- **გეგმა** - მიუთითეთ სასწავლო კურსის შემთხვევაში: ლექციების თემები, შესასწავლი საკითხები და თემების შესაბამისი ძირითადი (სავალდებულო) ლიტერატურა (გვერდების მითითება სასურველი, მაგრამ არასავალდებულო), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსის რუბრიკაში "ძირითადი ლიტერატურა" მითითებულს. ასევე მიუთითეთ სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის დროს სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო და მისი აქტივობის შეფასებების ფორმები. გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს სწავლების მეთოდებს, სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს. მიუთითეთ თითოეული ლექციისთვის, სამუშაო ჯგუფში მუშაობისთვის/პრაქტიკული მეცადინეობისთვის, შუალედური და/ან დასკვნითი გამოცდებისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და ჩატარების კვირა.

- **სტუდენტის მიღწევების შეფასება** - სტუდენტის მიღწევათა შეფასების სისტემა უნდა შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილს. მიუთითეთ შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულების რანჟირება. გაითვალისწინეთ, რომ: პროგრამის სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსები, პრაქტიკები, საბაკალავრო ნაშრომი) შემთხვევაში შეფასება მოიცავს 2 ფორმას - შუალედური შეფასებებს და დასკვნით შეფასებას, შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის შეფასებათა ჯამს; სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასების მეშვეობით. პროგრამის კომპონენტში კრედიტი მიღებულიად ჩაითვლება არანაკლებ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. მიუთითეთ რა ფორმით ჩატარდება შეფასებები, შეფასების რა კომპონენტებით, მეთოდებით, კრიტერიუმებით და ქულებით მოხდება სტუდენტის მიღწევების შეფასება და სხვ. გაითვალისწინეთ, რომ უნდა იყოს დაცული ბნსუ-ში არსებული მოთხოვნები სტუდენტთა შეფასებისადმი.
- **ძირითადი (სავალდებულო) ლიტერატურა** - მიუთითეთ ის სახელმძღვანელო(ებ), მონოგრაფიები, სასწავლო მასალა და/ან სხვ., რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება. გაითვალისწინეთ, რომ მითითებული ძირითადი ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდში (ნაბეჭდი ან/და ელექტრონიკის ფორმით), თუ ძირითადი ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკაში - შეატყობინეთ ადმინისტრაციას. ძირითადი ლიტერატურის სახით მხოლოდ უცხოენოვანი სახელმძღვანელოების/ლიტერატურის/სასწავლო მასალის მითითებისას გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა სტუდენტმა არ იცოდეს ან არასათანადოდ იცოდეს ეს უცხო ენა და ვერ შეძლოს ამ სახელმძღვანელოს გამოყენება. ამ შემთხვევაში უნდა მოამზადოთ შესაბამისი ქართულენოვანი კონსპექტი (ე.წ. "რიდერი" ან სხვ.), რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.
- **დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა და სხვა რესურსები** - მიუთითეთ სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, სხვა სასწავლო მასალა ან/და ვებ-გვერდები (ინტერნეტ-რესურსები) იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი ლიტერატურა და სასწავლო მასალა უნდა დაეხმაროს სტუდენტს შესასწავლი მასალის/შესასრულებელი დავალების უკეთ გაგება-ათვისებაში/დავალბების შესრულებაში, ცოდნის გაღრმავებაში, მოხსენების ან/და პრეზენტაციის მომზადებაში და სხვ. არ არის სავალდებულო, რომ დამატებითი ლიტერატურა იყოს ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდში. დამატებითი ლიტერატურის სახით არ მიუთითოთ ის სასწავლო მასალა, რომელიც წარმოადგენს იშვიათ გამოცემებს ან სხვ. და თქვენთვის წინასწარ ცნობილია, რომ სტუდენტები ვერ შეძლებენ მათ მოძიებას. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენს მიერ მითითებული დამატებითი ლიტერატურა არ არის ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდში, თქვენ ვალდებული ხართ სტუდენტებს განუმარტოთ თუ სად შეუძლიათ ამ სასწავლო მასალის მოძიება.

ყურადღება !

- სილაბუსის შედგენისას, გარდა წინამდებარე ინსტრუქციისა, აუცილებლად იხელმძღვანელოთ ბნსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით განთავსებულია ბნსუ-ს ვებგვერდზე <http://bntu.edu.ge/swavla/juridili-cnobarj>;
- სილაბუსის შინაარსი წარმოადგენს სილაბუსის ავტორის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის სფეროს;
- სილაბუსში მოცემული ინფორმაცია უნდა ადატურებდეს მის აუტენტობას;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სილაბუსი შემოწმდება სტანდარტებთან და მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ხარვეზ(ებ)ის აღმოჩენის შემთხვევაში სილაბუსი დაუბრუნდება სილაბუსის ავტორ(ებ)ს;
- სილაბუსი უბრუნდება ავტორ(ებ)ს იმ შემთხვევაშიც, თუ:
 - სხვადასხვა სილაბუსები იდენტურია მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მაგრამ აქვთ განსხვავებული შინაარსი (შესასწავლი თემები);
 - სხვადასხვა სილაბუსები იდენტურია შინაარსიდან (შესასწავლი თემებიდან) გამომდინარე, მაგრამ აქვთ განსხვავებული მიზნები და სწავლის შედეგები;
 - სხვადასხვა სილაბუსები იდენტურია მიზნებიდან, შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მაგრამ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში აქვს განსხვავებული რაოდენობის კრედიტები;
 - შესასწავლ თემებთან მითითებულია მხოლოდ დამხმარე (დამატებითი) ლიტერატურა;
 - ძირითადი (სავალდებულო) ლიტერატურის სახით მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა იმ უცხოურ ენაზე, რომელიც ფლობა კონკრეტულ დონეზე არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას, ან ეს უცხოური ენა ისწავლება ამ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ შესაბამისი დონე უცხო ენის ფლობა მიიღწევა მომდევნო სემესტრებში;
 - სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული ერთი და იმავე დასახელების და მოცულობის (კრედიტებში) სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია განსხვავებული ინფორმაცია.